ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1249106

ნომერი: AR1216043

თარიღი : 30.04.2014

გაცემის თარიღი : 02.05.2014

გაცნობის თარიღი : 03.05.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გიორგი ძოწენიძე , N 6 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დონარა დოლიძე პ/ნ 01010013456
- თბილისი, რამაზ ჩხიკვაძის 8, ბინა 10

ორგანიზაცია:

- შხარა 91 კოდი: 204958554

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის

საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

AR1216043 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ სამსახურის #1160501 ბრძანებაში ცვლილების შეტანას, გაცნობებთ რომ დოკუმენტაცია ატვირთული გაქვთ შემდეგი ხარვეზებით: განაცხადის მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტების მისათითებელ ველში, მითითებული დოკუმენტი #1160501 წარმოადგენს ძირითად დოკუმენტში (სამშენებლო პასპორტში) შესული ცვლილების ბრძანებას. შესაბამისად საკითხის განსახილველად უნდა ზუსტად მიუთითოთ აღნიშნული დოკუმენტის ნომერი.
ასევე აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული ცვლილების განხორციელების შემდგომ მოხდა საკადასტრო ერთეულის კონფიგურაციის ცვლილება, რასთან დაკავშირებით განაცხადის მოთხოვნის ტექსტისთვის გამოყოფილ ველში უნდა დააფიქსიროთ მოთხოვნა ორგ–2130 (12.02.1991) დოკუმენტში კვლავ განახლებული საკადასტრო გეგმის დამატებასთან დაკავშირებით.
რაც შეეხება გაპში ცვლილების შეტანას, მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტის კ1–ის მომატებასთან დაკავშირებით, დამატებით განაცხადი უნდა დაარეგისტრიროთ ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის ნომენკლატურაში. რადგან აღნიშნული პროცედურა არ საჭიროებს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობეში ცვლილების შეტანას.
ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილების შესატანად გათვალისწინებული ვადა განისაზღვრება 12 სამუშაო დღით. თქვენი განხცადება სამსახურში შემოვიდა 2014 წლის 30 აპრილს თანდართული დოკუმენტაციის განხილვაზე სამსახურმა გამოიყენა 3 სამუშაო დღე. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განცხადების რეგისტრაციიდან 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის აღმოსაფხვრელად, რომლის შემდეგ ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილების შესატანად სამსახურს დარჩენილი აქვს 9 სამუშაო დღე; დანიშნულ ვადაში განაცხადის არწარმოდგენის შემთხვევაში, საკითხი დარჩეს განუხილველი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.